დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატი

შეფასების თარიღები ---------- 14 და 15 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი ---------- 14 ივლისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

Elene Digitally signed by Elene Kalandadze

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ქართილ-ევროპული სკოლა ორნატი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230068066

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონი
იურიდიული მისამართი	ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. N2
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. N2
საფოსტო ინდექსი	2000
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolaornati.edupage.org/
დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaornati@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0492 24 04 46 ; 574 72 55 88
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	სოფიო კვინიკაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599207727
ელ-ფოსტა	sophiokvinikadze@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, ბრძანება MES 9 22 0000455321, 05.05.2022წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატში ვიზიტის შესახებ“
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	14 და 15 ივნისი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე
წევრი (სახელი, გვარი)	ელენე კალანდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
	2.7	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.*	
	2.7.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა, თავის საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევს ურთიერთობებს ევროპის ხუთი ქვეყნის (პოლონეთი-პოზნანი, სლოვაკეთი-ტრენჩინი, უკრაინა-კოზიატინი, ლატვია-დაუგავაპილსი და მოლდავეთი-ბელცი) ხუთ სკოლასთან. ურთიერთობებში იგულისხმება ერთობლივი კონფერენციები, კონკურსები მოსწავლეთათვის. სკოლის ფოიეში გამოკრულია ამ აქტივობებში დაკავებული ადგილებისა და მონაწილეობის ამსახველი სიგელები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების მისია	საგანმანათლებლო საქმიანობა წარმართოს საქართველოს სახელმწიფო და საგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე და აღზარდოს მაღალი აკადემიური განათლების, ანალიტიკურად მოაზროვნე, მოტივირებული, ინფორმირებული, კანონმორჩილი, ტოლერანტი, მრავალმხრივად განვითარებული პიროვნება, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებსა და ვალდებულებებზე. სკოლის ამოცანაა შექმნას ისეთი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე სწავლების ყველა საფეხურზე, რონ მათ შეძლონ აირჩიონ თავიანთი მომავალი განვითარების გზა, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები. იქნება წიგნიერი, მოაზროვნე და გარკვეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში. ყველა მოსწავლემ სკოლაშივე მიღებული ცოდნით უნდა შეძლოს წარმატებით ჩააბაროს ეროვნული გამოცდები და ფლობდნენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს და პრაგმატულ აზროვნებას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლას რეკომენდაციები მიეცა დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების „ღიმილებითა“ და „ვარსკვლავებით“ მიცემისგან თავის შეკავების მოწოდებით, რაც სკოლამ გაითვალისწინა. ასევე მიეცა რეკომენდაცია, სკოლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობაზე, ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას ეზოში მოწყობილი აქვს სპორტული მოოედანიც და სარეკრაეაციო სივრცეც; შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა იმ ფაქტს, რომ სკოლა არ ხელმძღვანელობდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით, რაც სკოლას ასევე გათვალისწინებული აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმების,, საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მიერ და დამტკიცებულია პედსაბჭოზე, 2021 წლის 8 სექტემბერს, ოქმი N1. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: • შესავალი • სკოლის მისია • 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი • დღის რეჟიმი • სასკოლო საათობრივი ბადე • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების დონეების და საგნების მიხედვით • მოსწავლის შეფასების წესები. • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა. • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი. • ინკლუზიური განათლება. • სადამრიგებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპი **საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება:** სასწავლო წლის კალენდარის მიხედვით: 1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები. 2. 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2021 წლის 15 ივნისი, გარდა XII და I კლასისა; 3. XII კლასის მოსწავლეთათვის 2021-2022 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2022 წლის 20 მაისი; I კლასი სწავლას ამთავრებს 2022 წლის 27 მაისს; 4. 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2022 წლის 31 დეკემბერს. მეორე სემეტრი იწყება 2022 წლის 15 იანვარს. სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. თუმცა, განსაზღვრულია 6 დღიანი კვირეული დატვირთვით სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობაც.. სასწავლო დღე იყოფა ორ ეტაპად.ეროვნული სსწავლო გეგმით განსაზღვრული საგაკვეთილო პროცესი იწყება 9 საათზე და გრძელდება 15 საათამდე, ხოლო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობები გრძელდება 16 სთ. 45 წთ-მდე. II – XII კლასებისთვის გაკვეთილი 45 წუთიანია I კლასისთვის 35 წუთიანი, დასვენება 5 წუთიანი, გარდა დიდი დასვენებისა, რომელიც 15 წუთიანია. სწავლება ხორციელდება ერთ ცვლაში I-VI კლასებში გახანგრძლივებული დღის რეჟიმით, რომლის დროსაც გათვალისწინებულია სადილი და დღის რეჟიმი მთავრდება 1645, ხოლო - VII-XII კლასებში დღის რეჟიმი გრძელდება 9-დან 15 საათამდე. **დისტანციური სწავლების ორგანიზება** დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას, სასწავლო წლის კალენდარი რეგულირდება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 09 სექტემბრის 95/ნ ბრძანების შესაბამისად. **სასკოლო სასწავლო საგნების ორგანიზება:** შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის საათობრი ბადე ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საათობრივ ბადეს, მხოლოდ მეშვიდე კლასიდა ინგლისურ ენას ნაცვლად 3 კვირეული საათისა, განსაზღვრული აქვს 4 კვირეული საათობრივი დატვირთვა. არჩევითი საგნებიდან X კლასში ისწავლება მსოფლიო კულტურა, XI კლასში - XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა, XII კლასებში - (მხოლოდ პირველ სემესტრში) კინოხელოვება. აღსანიშნავია სკოლაში მეორე უცხოური ენის სწავლება. მეორე უცხოური ენა სკოლაში ისწავლება მე-3 კლასიდან და როგორც წესი, უნდა ისწავლებოდეს მე-12 კლასის ჩათვლით. მეორე უცხოურ ენად სკოლაში ისწავლება რუსული ენა, თუმცა მე-9 კლასის ჩათვლით, ხოლო შემდეგ 10-12 კლასებში ისწავლება გერმანული ენა. სკოლას განემარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მეორე უცხოური ენის სწავლებამ მოსწავლე უნდა მიიყვანოს ენის ფლობის **A2.3** დონემდე (მოსმენა და კითხვის მიმართულებით) და **A2.2** დონემდე (წერა და ლაპარაკის მიმართულებით), ამიტომ ენის შეცვლა ვერ უზრუნველყოფს ამ დონის მიღწევას. სკოლამ, ვიზიტის მიმდინარეობისას, გაითვალისწინა აღნიშნული და პედასაბჭოს გადაწყვეტილების მომავალი წლიდან კვლავ დატოვა მეორე უცხოური ენის - რუსულის მე-12 კლასამდე სწავლება. ამასთან ერთად, სკოლას მიეცა რჩევა, რომ საათობრივი ბადე უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად სასკოლო საათობრივი ბადე ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას; ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული, ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიმდინარეობისას, ჩაატარა პედსაბჭო, ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში და მატერიალური სახით წარმოადგინა ორივე ტიპის საათობრივი ბადე. **სასწავლო რესურსები და სახელმძღვანელოები:** სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა. **საგნობრივი კათედრები სკოლაში:** სკოლაში არის ექვსი საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; • მათემატიკისა და საბუნებისნეტყველო მეცნიერების კათედრა; • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; • უცხო ენების კათედრა; • დაწყებითი საფეხურის კათედრა; • ესთეტიკისა და ფიზიკური აღზრდის კათედრა. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. **სადამრიგებლო პროგრამა,** რომელშიც მოცემულია კლასის დამრიგებლის მოვალეობები, სადამრიგებლო საათის პროგრამისა და სააღმზდრელო მუშაობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუერების შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში საწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლაში 6 კათედრაა. სკოლას სასკოლო გეგმაში განსაზღვრული აქვს კათედრის ფუნქციები, კათედრის თავმჯდომარის არჩევის ვადა და მისი ფუნქციები სკოლამ ასევე წარმოადგინა კათედრების მუშაობის ჟურნალები. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული აქვს განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელიც შემუშავებულია შესაბამის კათედრებზე. შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ სკოლა შეფასებისას, ამოწმებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ, ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. სკოლამ, საგნების მიხედვით, წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და მათი შეფასების სქემები, მისაღწევი შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალება. სკოლას დაწყებული აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება. საავტორიზაციო განაცხადთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რამდენიმე კომპლექსური დავალების რამდენიმე ნიმუში. ინტერვიუირებისას სკოლის მასწავლებლებმა განმარტეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს, რადგან სკოლას არ ევალებოდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში აქტიური ჩართვა, ამიტომ მათ მხოლოდ ცალკეული შემთხვევები ჰქონდათ კომპლექსური დავალებების განხორციელებისა, ხოლო, რაც შეეხება კურიკულუმებს, არ შეადგინეს და მომავალი სასწავლო წლიდან შეეცდებიან კურიკულუმების შედგენასაც. სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ გააზრებული აქვთ კურიკულუმის, თემატური მატრიცის და კომპლექსური დავალებების კავშირები. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს ამ მიმართულებით უპირატესი მდგომარეობა, რადგან სკოლაში მუშაობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის რაიონული კოორდინატორი და ისტორიის მიმართულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ქოუჩი. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და არსებული მდგომარეობის ანალიზით ირკვევა, რომ ძირითადად, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ით დადგენილი გრძელვადიანი (საფეხურებრივი) და შედარებით მოკლევადიანი (კონკრეტული კლასის) მისაღწევი შედეგები და, რომ სკოლა ზრუნავს რომ მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნა უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; კათედრის დებულება; შემაჯამებელი დავალების დოკუმენტაცია; წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კლუბებსა და წრეებს: მკითხველთა კლუბი - „ბაბილონი“, დამტკიცებულია კლუბის წესდება, რომლის მიხედვიტაც კლუბის წევრი შეიძლება გახდეს არამარტო ამ სკოლის, არამედ სხვა სკოლის მოსწავლეც. წესდებით განსაზღვრულია კლუბის მიზნები და ამოცანები, მუშაობის პროგრამა, შეხვედრების გეგმა. ხელოვნების წრე, განსაზღვრულია წრის მიზნები, სამოქმედო გეგმა ისტორიის კლუბი „წარსულის მატიანე“ - წარმოდგენილია კლუბის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია კლუბის მიზნები და კლუბში გაწევრიანების წესი - ამავე სკოლის საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლის სტატუსი; სკოლის მოსწავლეთა 1-6 კლასის მოსწავლეებისთვის განსაზღვრულია გახანგრძლივებული მეცადინეობების ჩატარება დღის მეორე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნახევარში თითოეული ზემოთ აღნიშნული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო პროგრამები და აღწერილობა ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას. მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის გამოვლენა/განვითარებას ემსახურება მასწავლებლების მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის პროექტები და კომპლექსური დავალებები. ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რომელშიც ასეთი ტიპის დავალებების ამსახველი მასალებია თავმოყრილი. სკოლაში ირიცხება ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც სკოლაში მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში გადმოვიდა მობილობით. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი და დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ვიზიტის პერიოდამდე სკოლას არ ჰქონდა განხორციელებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის, №16/ნ ბრძანების, VI თავის შესაბამისი ინკლუზიურ განათლებაზე მონიტორინგი. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ დაამტკიცა მონიტორინგის წესი, მონიტორინგის ჯგუფის დებულება და შექმნა მონიტორინგის ჯგუფი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; პედსაბჭოს ოქმი; ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის ძირითად პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია კათედრების მიხედვით შემუშავებული ზოგადი შეფასების სქემები. ამასთან ერთად სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია განმავითარებელი შეფასების ზოგადი სქემაც, რომლის მიხედვით განმავითარებელი შეფასებას იძლევიან ორი სახის მიმდინარეს (მომწონს, უკეთესია, სწრაფად იაზროვნე და სხვა ამგვარი) და კომენტირებულს. კომენტირებულის დროს იძლევიან 4 ტიპის სტანდარტულ კომენტარს შემდეგ შემთხვევებში: ა) როცა მოსწავლე ყველა საგანში წარმატებულია; ბ) როცა მოსწავლე საპროგრამო მასალას ითვისებს კარგად; გ) როცა მოსწავლეს გარკვეული ხარვეზები აქვს საპროგრამო მასალის ათვისებაში; დ) როცა მოსწავლე ვერ ძლევს საპროგრამო მასალას და არღვევს ქცევის ნორმებს. ვიზიტისას, სკოლა დაეთანხმა ექსპერტებს, რომ ასეთი ტიპის განმავითარებელი შეფასებების გაკეთება არააკადემიურია და არ ემსახურება მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობას. სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას ჩაატარა პედსაბჭო, ამ რეგულაციის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ამოღების მიზნით, თუმცა პედსაბჭოს ოქმში მხოლოდ მიმდინარე განმავითარებელი შეფასების ამოღებაა დაფიქსირებული, ხოლო ე.წ. კომენტარის ამოღება არ არის დღის წესრიგში მითითებული შეფასების სქემები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ეცნობებათ წლის დასაწყისში, შინაგანაწესთან და სხვა სიახლეებთან ერთად. შემაჯამებელ დავალებებში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის, კომპლექსური კონტექსტის დავალებები, ამას ემატება მასწავლებლების მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებები და პროექტები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაციები, რომლებშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაანალიზებულია შემაჯამებელი დავალებისას გამოვლენილი ხარვეზები და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია შემდგომი აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; შეფასების სქემები და რუბრიკები; ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან; დამრიგებლის დებულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დამრიგებლის მიერ მოსწავლის მხარდაჭერას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის პროცესში. მასში გაწერილია დამრიგებლის მუშაობის პრინციპები და მოვალეობები და ითვალისწინებს კომუნიკაციას მშობლებთან. კერძოდ, განსაზღვრულია დამრიგებლის მოვალეობები, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის მიერ მოსწავლის მშობლისთვის წლის დასაწყისში შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სხვა სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობას, ასევე დამრიგებელი ვალდებულია, მინიმუმ თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მშობელს, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ. დამრიგებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გარდა დაგეგმილი შეხვედრებისა, მუდმივად აქვთ კომუნიკაცია ერთმანეთთან ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, ასევე სოციალური ქსელებში დახურული ჯგუფებისა და ტელეფონის საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა ცდილობს აქტიურად ჩააბას მშობელი სკოლის ცხოვრებაში, სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის საშუალებით. დამრიგებლის ერთ-ერთი მოვალეობაა, დამრიგებელი იყოს მედიატორი სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის. მან უნდა უზრუნველყოს მშობელთა ჩართულობა სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეხვედრების დროს უნდა გააცნოს მშობელს შვილის აკადემიური მოსწრება, პიროვნული პრობლემები თუ ზოგადი წარმატებები, მასთან ერთად დასახოს პრობლემის მოგვარების გზები, გააცნოს სხვა დისციპლინებში არსებული პრობლემები და მიღწევები. ხშირი გაცდენებისა თუ დაგვიანებების შემთხვევაში დაადგინოს არსებული მიზეზები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სადამრიგებლო პროგრამა; ინტერვიუ დირექციასთან და მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში შექმნილია სკოლის განვითარების ჯგუფი, რომელიც აფასებს ა) სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებს და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას; ბ) სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურას და საგანმანათლებლო რესურსებს; გ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას; დ) განმავითარებელი შეფასების ეფექტური გამოყენება; ე) დამრიგებლის მუშაობის შეფასება; ვ) კათედრის მუშაობის შეფასება. მიღებული შედეგების საფუძველზე დაიგეგმება აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, მათი მოტივაციის გაზრდას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესებას
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის სასკოლო სასწავლო გეგმის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი; ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. გამოიყენოს ისეთი განმავითერებელი შეფასებები, რომელიც ემსახურება მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობას და არა სტანდარტული, წინასწარ გამზადებული, „კომენტირბული“ სტანდარტული ტექსტით,
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1406,70	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ ევროპული სკოლა ორნატი ფუნქციონირებს 3 სართულიან შენობაში. სკოლის შენობის მესაკუთრეა სს „გრაცია“. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტებიდან, რომლებშიც ქირავნობის ხელშეკრულებაცაა წარმოდგენილი (20.11.2018) ირკვევა, რომ სკოლა არსებობის ვადით, ქირაობს შენობას, რომლის ფართი 1300 კვ.მ.-ია და მიწის ნაკვეთს 2752,34 კვ.მ-ის ოდენობით, მასზე არსებული სპორტული მოედნით. რეალურად კი საჯარო რეესტრის ამონაწერიდან, ირკვევა, რომ ამ შენობის (02/3) ფართობია 1179,1 კვ.მ., ამასთან საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით ქირავნობა გაფორმებულია მხოლოდ მიწის ნაკვეთზე (2752,34 კვ.მ-ის) და სპორტულ მოედანზე. შენობის ქირავნობა არ ჩანს. ამონაწერში ჩანს შენობის სარგებლობა, ამ სარგებლობის საფუძვლად მითითებულია ხელშეკრულება რომელიც 2006 წლის 5 იანვრითაა დათარიღებული, მაგრამ ამ ჩანაწერში სს გრაციას და ორნატს ერთი და იგივე საიდენტიფიკაციო ნომერი აქვს მითითებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია 316 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უფლება, რაც არ არის დაფიქსირებული წარმოდგენილ ქირავნობის ხელშეკრულებაში. ყოველივე ამას ემატება ის ფაქტიც, რომ სკოლის შენობის პირველი სართულის მცირე ნაწილში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კაბინეტი და სკოლის ფართობიდან მისი გამიჯვნაც იქნება დასაფიქსირებელი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა, რომ გადასახედია და შესაბამისი ჩასწორებებია შესატანი ქირავნობის ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის ამონაწერში. არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში გადმოაგზავნა ქირავნობის ხელშეკრულების განახლებული ვარიანტი, რომელშიც ჩასწორებულია აღნიშნული შეუსაბამობა, მითითებულია დასაქირავებელი შენობის ფართის ოდენობა 1149 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 2752,34 კვ.მ-ის ფართობით, მასზე განთავსებულ სპორტულ მოედანთან ერთად. დასკვნის მომზადების პროცესში აღნიშნული ქირავნობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ იყო, თუმცა განცხადება შეტანილია 2022 წლის 8 ივლისს, <u>განცხადება #882022500016, რეგისტრაციის დრო, 13:40</u>
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ N2
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**32.10.33.920**
კვ.მ.	მიწის ფართი 2752,34 შენობის ფართი ხელშეკრულებით 1149
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; საკადასტრო გეგმა; ქირავნობის ხელშეკრულება; ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, ოთახებში განლაგებულია 140 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამით. ასევე ყველა საკლასო ოთახში არის მასწავლებლისთვის განკუთვნილი მერხი და სკამი, დაფები და სხვა მატერიალური საშუალებები. ამის გარდა სკოლას დასაწყობებული აქვს 60 ერთეული მერხი და სკამი.შენობაში არის ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო ოთახი, სამედიცინო ოთახი და სხვა დამხმარე სათავსოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ეზოში განლაგებულია სპორტული მოედანი, ბუნებრივი საფარით, ხოლო პირველ სართულზე მოწყობილია ფართი წვიმიან ამინდში სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. სკოლას მიეცა რჩევა პირველ სართულზე სპორტის გაკვეთილებისთვის მოწყობილ ფართში უზრუნველყოს ფანჯრებზე დამცავი ბადეების დამაგრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის, ასევე ფანჯრებზე გარედან, მოიხსნას რკინის სტაციონარული გისოსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით, გამწოვით, ონკანით და რეაქტივებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ბუღალტრული დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. მოწყობილია სველი წერტილები, რომელიც უზრუნველყოფილია ჰიგიენის საშუალებებით, შენობაში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 2746 ერთეულს. მათ შორის ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო და მხატვრული ლიტერატურა, სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი. სკოლა აწარმოებს წიგნების აღრიცხვას საინვენტარო წიგნის მეშვეობით და ელექტრონულად - ექსელის ფორმატში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. საბურალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის. ვიზიტის პერიოდში პანდუსი დამონტაჟებული არ იყო, თუმცა დირექციის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფენ დასაწყობებული პანდუსის დამონტაჟებას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 17 კომპიუტერია. ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 12 კომპიუტერი. სკოლაში ასევე არის პრინტერები და ქსეროქსები. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი https://skolaornati.edupage.org/ სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, ზოგიერთი ღილაკი არ მუშაობს, მასზე გადასვლით გამოდის შეტყობინება „მალე“. სკოლას მიეცა რჩევა ყველა ღილაკი გახადოს ქმედითი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერება; 2) საბუღალტრო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში განთავსებულია ცეცხლმაქრები, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	არასაკმარისი რაოდენობით. მეორე და მესამე სართულზე ეკლდათ თითო ცეცხლმაქრი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია განათავსოს ცეცხლმაქრების რაოდენობა საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის გადმოგზავნისას, სკოლამ წარმოადგინა ორი ცეცხლმაქრის შესყიდვის დოკუმენტაცია. ექსპერტთა ვიზიტის დროს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი სკოლას არ ქონდა შემუშავებული, თუმცა სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეიმუშავა ზემოაღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერება; 2) საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის სამივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერება; 2) საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექიმი და შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. აღნიშნული წესით რეგულირდება, როგორც სკოლის ექიმის მიერ მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სამედიცინო მომსახურეობის წესი, ასევე, მის მიერ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მათზე რეაგირების თანმიმდევრობა, სადეზიფენქციო ხსნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოყენების წესი და სხვა. ექიმი აწარმოებს ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეულ პროცედურების და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას. შენობაში ყველგან ხელმისაწვდომია სადეზინფექციო სითხის მოწყობილობები, ასევე გამოკრულია ვირუსის პრევენციის ამსახველი პოსტერები. სკოლას მიეცა რჩევა სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-თან შესაბამისობაში. ასევე, სკოლის ექიმმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ბრძანების დანართით განსაზღვრული ფორმით აწარმოოს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერება; 2) ექთანთან გასაუბრება; 3) შესყიდვის დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა ,, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესი . სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეემუშავებინა ზემოთ აღნიშნული წესი. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და სკოლის მიერ შეიმუშავებული წესი შესათანხმებლად გააგზავნა განათლებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და მეცნიერების სამინისტროში ვიზიტის პერიოდში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში; 2) სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება არ ხდება კიბის უჯრედებში და პირველი სართულის ფოიეში. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 3 კამერა. მათგან 1 კამერა დამონტაჟებულია შენობის მთავარ შესასვლელზე, რომელზეც უნდა იყოს 2 კამერა და 2 სათადარიგო შესასვლელზე. თუმცა ორ საევაკუაციო გასასვლელზე (მესამე და მეორე სართულზე) არ არის დაყენებელი კამერები, კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე დირექტორის სამუშაო ოთახში. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟებაექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	№1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს შიდა პერიმეტრის და სათადარიგო გასასვლელების ვიდეოკონტროლი, რაც სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდში შეიძინა დამატებით 8 ვიდეოკამერა შესაბამისი ჩამწერი მოწყობილობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერება; 2) საბუღალტრო დოკუმენტაცია; 3) სასაქონლო ზედნადები; 4) საბანკო გადარიცხვა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქციამოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები.სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, დირექტორის უფლება ,მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე, რაზედაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და იხელმძღვანელოს აღნიშნული წესით რათა არ მოხდეს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირებთან. შინაგანაწესის 26-ე მუხლით გათვალისწინებულია დისციპლინარული სახდელების შეფარდება სადაც ფიქსირდება რიგი უზუსტობები, როგორიცაა სამეურვეო საბჭო , დისციპლინარული კომიტეტი, სააპელაციო საბჭო. სკოლასთან გასაუბრებით დადგინდა რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები სკოლაში არ არსებობს. სკოლას მიეცა რჩევა შესაბამისობაში მოიყვანოს შინაგანაწესის 26-ე მუხლი. შინაგანაწესის 28-ე მუხლით განსაზღვრულია მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა. მე-2 პუნქტის თანახმად ,,სკოლაში მიღებამდე მოსწავლესა და მშობლებთან უნდა ჩატარდეს გასაუბრება, რომელსაც დაესწრება სკოლის ადმინისტრაციის მინიმუმ ერთი წევრი, გასაუბრების შემდეგ მოსწავლეს შესაძლოა, ობიექრური მიზეზით, დასაბუთებულად უარი ეთქვას სკოლაში მიღებაზე.“ აღნიშნული ჩანაწერი არღვევს მოსწავლეთა უფლებას და ეწინააღმდეგება,მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს). სკოლას მიეცა რეკომენდაცია ამოიღოს შინაგანაწესიდან ეს პუნქტი. შინაგანაწესის 28-ე მუხლით განსაზღვრულია მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა. მე-11 პუნქტის თანახმად ,,მოსწავლეს სხვა სკოლაში გადასვლისას საბუთები მიეცემა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის გაასწორებს ანგარიშს და გადაიხდის სწავლის საფასურს ხელშეკრულების თანახმად..“ აღნიშნული ჩანაწერი არღვევს მოსწავლეთა უფლებას და ეწინააღმდეგება,მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ 332 მუხლი) სკოლას მიეცა რეკომენდაცია ამოიღოს ეს მუხლი შინაგანაწესიდან. შინაგანაწესის 29-ე მუხლით განსაზღვრულია ,,მოსწავლის პირადი გასინჯვა“ რაც ეწინააღმდეგება ,, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს“ აღნიშნული წესით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ამოიღოს ეს მუხლი შინაგანაწესიდან და იხელმძღვანელოს ზემოთ აღნიშნული ბრძანებით. არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გადმოგზავნასთან ერთად სკოლამ გადმოაგზავნა შინაგანაწესის ახალი ვერსია, რომელშიც გათვალისწინებულია ექსპერტთა მიცემული რეკომენდაციები და მითითებული მუხლებია მოყვანილია კანონთან შესაბამისობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1)სკოლის წესდება; 2) სკოლის შინაგანაწესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავეული და დამტკიცებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები. 6 წლიან სტრატეგიულ გეგმაში (2022-2028 წლები) არ ჩანს სტრატეგიული მიზნები. სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული გეგმის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით,შემდგომში მსხვილი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად,განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები,რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა; 2. 1 წლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების დროს, სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლიდან. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში იწარმოება 2 სახის ბრძანებები: საერთო და საკადრო. თითოეული სახის ბრძანება რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში. საქმისწარმოების წესის მიხედვით სკოლა ასევე ახდენს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციას; მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაციას. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1)ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები; 2) შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3) გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3)ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები; 4)ერთიანი საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. სკოლას მიეცა რჩევა, რომ გადასახედია და შესაბამისი ჩასწორებებია შესატანი ქირავნობის ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის ამონაწერში 2. სკოლას მიეცა რჩევა ვებგვერდზე ყველა ღილაკი გახადოს ქმედითი; 3. სკოლას მიეცა რჩევა სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-თან შესაბამისობაში. ასევე, სკოლის ექიმმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ბრძანების დანართით განსაზღვრული ფორმით აწარმოოს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა. 4. სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული გეგმის შემუშავების და საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემთხვევაში ცვლილების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში მსხვილი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად,განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები,რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება;
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 39 თანამშრომელი. მათ შორის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, სამეურნეო ნაწილის გამგე, სკოლის ექიმი, 2 დამხმარე მასწავლებელი, მზარეული, ტექნიკოს-ხელოსანი, დარაჯი, დამლაგებელი და 26 მასწავლებელი. მასწავლებლებისგან 2 წამყვანი, 15 უფროსი, 2 მასწავლებლობის მაძიებელი და 7 უსტატუსოა. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის წესის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; სკოლის შინაგანაწესი; eSchool-ის ბაზა; 2021-2022 წლის საათობრივი ბადე; გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	26, მათ შორის 7 უსტატუსო
მოწვეული/მაძიებელი	0/2
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

უფროსი მასწავლებლი	15
წამყვანი მასწავლებლი	2
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მასწავლებელთა სამსახურში აყვანა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის ‘’ შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა მასწავლებელთა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსი,თუმცა კონკურსის შედეგად უფროსი მასწავლებლის კანდიდატურა ვერ შეირჩა და სკოლამ აიყვანა 8 მასწავლებელი უსტატუსოდ.სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა , რომ უსტატუსო მასწავლებელთა უმრავლესობა ამავე სკოლის ყოფილი პრაქტიკოსი მასწავლებლებია, რომელთაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის მიერ დამტკიცებული კონკურსის წესი; საკონკურსო მასალები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დასანიშნ პირთა მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები. შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე, წახალისების ფორმებს. ასევე გაწერილია სკოლაში თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესები, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. თუმცა ხელშეკრულებებში გვხვდება რიგი ხარვეზები, მაგალითად: 1)ხელშეკრულებაში არ არის კუთვნილი შვებულებით სარგებლობის შესაბამისი მუხლი. 2)ხელშეკრულებაში არ არის ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ჩანაწერი; 3) მასწავლებლის ხელშეკრულებები არ არის დადებული შესაბამისი კატეგორიების მიხედვით; 4) არცერთ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება, მაშინ როდესაც საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ვ ქვეპუნქტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების მითითებას. 5) მასწავლებლის ხელშეკრულების 3.11. პუნქტით განსაზღვრულია, რომ მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია შეატყობინოს დისციპლინარულ კომიტეტს, რაც ლახავს მოსწავლის უფლებებს და წინააღმდეგობაშია საქართველოს კანონთან ბავშვთა უფლებათა დაცვის კოდექსთან . სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს დადგინდა ,რომ აღნიშნულ ჩანაწერს არ იცნობდნენ და მოსწავლეების მიმართ არანაირ სასჯელს არ იყენებდნენ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ზემოთაღნიშნული ჩანაწერი ამოეღო ხელშეკრულებიდან და სამომავლოდ იმოქმედონ ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და შრომითი ხელშეკრულებები ნაწილობრივ მოიყვანა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ ზოგიერთ ხელშეკრულებაში შრომის ანაზღაურებაში მითითებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანება ,, საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების შესაბამისად, ასევე უსტატუსო მასწავლებლის ხელშეკრულებაში მითითებულია ტერმინი ,,იღებს დასაქმებულს პრაქტიკოს მასწავლებლად“ . სკოლას მიეცა რეკომენდაცია კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს ყველა დასაქმებულის შრომითი ხელშეკრულება . არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გადმოაგზავნა დანარჩენი ხელშეკრულებებიც, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ექსპერტთა რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები; განახლებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატიში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია დებულება“, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ესწრება . დებულების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფის მიზნებია: 1. სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; 2. მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; 3. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება; 4. სკოლის მასწავლებელთათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. სკოლამ წარმოადგინა „გაკვეთილის დასწრების ანგარიშები“., რომელშიც ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი გაკვეთილზე დასწრების შემდგომ აღწერს გაკვეთილის სიტუაციას, შემდეგ მასწავლებელს აძლევს პოზიტიურ უკუკავშირს, კრიტიკულ უკუკავშირს და აძლევს რეკომენდაციებს. გარდა ამისა მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს ინტერვიუირებისას, სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესახებ, სკოლის წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა პროფესიული განვითარების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც რჩევა მიეცა სკოლას იზრუნოს სკოლის ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლებისა) პროფესიულ განვითარებაზეც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; გაკვეთილზე დასწრების ანგარიშები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. აკადემიური აქტივობების პარალელურად ხორციელდება აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. მაგალითად მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა კლასგარეშე აქტივობა „ბულინგი-არა ძალადობას“, ასევე ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება ეძლევა მონაწილეობით გამოხატაოს საკუთარი იდენტობა და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში პედაგოგები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ინტერვიუირებისას და ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოეტანა სკოლის უკეთესი კუთხით წარმოჩენისთვის. სკოლის ფოიეში გამოკრულია მოსწავლეთა ნახატები და სხვადასხვა აქტივობებში სკოლის წარმომადგენელთა მიერ მიღწეული წარმატების ამსახველი დიპლომები და სიგელები. მათ შორისაა ძემოთ ნახსენებ პარტნიორ სკოლებთან ერთად დაგეგმილ და განხორციელებულ კონკურსებში მიღწეული წარმატების ამსახველი დიპლომები, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების მონაწილეობით
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება. სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლას მიეცა რჩევა იზრუნოს სკოლის ყველა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზეც.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 14.07.2022.

გვერდების რაოდენობა 43

43

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.